კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

შპს ბარაკონი

წარმატება იწყება აქ!

კოლეჯი ბარაკონის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

შპს ბარაკონი არის კოლეჯი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ამჟამად კოლეჯი ახორციელებს საბაზო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, კოლეჯის შინაგანაწესით და წესდებით.

მისია

კოლეჯ ბარაკონის მისიაა თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საგანმანათლებლო და სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში მრავალფეროვანი და ხარისხიანი პროგრამების შეთავაზებით, შექმნას პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემო და პროფესიული სტუდენტების წარმატებული დასაქმებისთვის პირობები, რათა მათ შეიძინონ ცოდნა პროფესიისა და კარიერის შესახებ კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის განვითარების გზით.

ხედვა

კოლეჯის ხედვაა შექმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც პასუხობს ჩვენი სტუდენტების საჭიროებებს და აძლევს მათ შესაძლებლობებს გაუმკლავდნენ გამოწვევებს და იყვნენ აქტიური მონაწილეები ჩვენი ქვეყნის მომავლის განსაზღვრის საქმეში. ამ მიზნით, კოლეჯი გეგმავს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიოს შემდეგ ათწლეულში, რათა გახდეს მოდელი კოლეჯი, რომლის კურსდამრთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი იქნება 70%-ზე მაღალი.

ძირითადი ღირებულებები

კოლეჯი დაარსდა პრინციპით – განათლებამ უნდა აამაღლოს ადამიანის ღირსება და ხელი შეუწყოს სამოქალაქო პასუხისმგებლობას და თანაგრძნობას.
კოლეჯი გაერთიანებულია შემდეგი ძირითადი ღირებულებების გარშემო:

მრავალფეროვნება: ყველა სტუდენტის მრავალფეროვანი ღირებულებები, მიზნები, განსხვავებული შესაძლებლობები და სწავლების სტრატეგიები აღიარებული და მხარდაჭერილია.
პროგრამების წარმატებით დასრულება: სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებით მიაღწიონ მრავალფეროვან მიზნებს.
პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა: პროგრამების სისტემატიური მონიტორინგი, რათა პროგრამის წარმატებით დასრულება გაუტოლდეს კონკურენტულ პოზიციას შრომის ბაზარზე.
ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა: ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე სამსახურების შესაბამისობის შესწავლა და მუდმივი გაუმჯობესება კოლეჯის ხედვის, მისიისა და მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა: წახალისებულია ენთუზიასტი, დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებიც პიროვნული ზრდისკენ ისწრაფვიან.
თანამშრომლობა: ფასდება გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა და დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მიღება.
ერთიანობა: ყველა საქმიანობა მიმართულია კოლეჯის მიზნების, გეგმების, პრიორიტეტების მისაღწევად.

აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში. პირს, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლება აქვს მიიღოს პროფესიული საქამიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება წარმოებს შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ[1]) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა და/ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);
ბ[2]) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
გ) კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი/ასლი ან დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (საბაზო განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე ან ცნობა შესაბამისი სწავლის საფეხურის დაძლევის შესახებ;

გ[1]) უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - განათლების აღიარების დოკუმენტი;

დ) ფოტოსურათი.

ე) 17 წელს მიღწეული პირებისათვის (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) - წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტები ირიცხებიან კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	დონე	პროგრამის მიზანი	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	საექთნო საქმე (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)	V	პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing	180
	საექთნო საქმე (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)	V	პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing	210

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:

მოცულობა: 180 კრედიტი
ხანგრძლივობა: 120 სასწავლო კვირა / 30 სასწავლო თვე

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:

მოცულობა: 210 კრედიტი
ხანგრძლივობა: 154 სასწავლო კვირა / 39 სასწავლო თვე

მოდულების, ქართული ენა A2-ის და ქართული ენა B1-ის გავლა სავალდებულოა იმ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პრეოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	დონე	პროგრამის მიზანი	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ფარმაცია (სააფთიაქო) (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)	V	პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებას და განთავსებას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალწამლო ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy	120
	ფარმაცია (სააფთიაქო) (არაქართულენოვანი პროფესიული	V	პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher	150

	სტუდენტებისთვის)		მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებას და განთავსებას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალწამლო ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.	Vocational Qualification in Pharmacy	

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:

მოცულობა: 120 კრედიტი
ხანგრძლივობა: 20 სასწავლო თვე / 82 სასწავლო კვირა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:
მოცულობა: 150 კრედიტი
ხანგრძლივობა: 29 სასწავლო თვე / 116 სასწავლო კვირა

მოდულების, ქართული ენა A2-ის და ქართული ენა B1-ის გავლა სავალდებულოა იმ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
4. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
5. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
7. მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
8. გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების,

ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;

12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები.

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მილევადი რეჟიმი)

№	პროგრამის დასახელება	დონე	პროგრამის მიზანი	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინფორმაციის ტექნოლოგია (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)	III	ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა და პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების,	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support	61

			პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.		
	ინფორმაციის ტექნოლოგია (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)	III	ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა და პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support	76

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელმწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:

მოცულობა: 61 კრედიტი

ხანგრძლივობა: 10 თვე / 40 სასწავლო კვირა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:

მოცულობა: 76 კრედიტი

ხანგრძლივობა: 14 თვე / 57 სასწავლო კვირა

მოდულის, ქართული ენა A2-ის გავლა სავალდებულოა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

სწავლის შედეგები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის მიმართულებით:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემები;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;

7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები.

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ავტორიზაციის პროცესი)

№	პროგრამის დასახელება	დონე	პროგრამის მიზანი	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)	III	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support	55

	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)	III	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support	70

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი პროფილის და ზომის ორგანიზაციაში.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:
მოცულობა: 55 კრედიტი
ხანგრძლივობა: 39 სასწავლო კვირა
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის:
მოცულობა: 70 კრედიტი
ხანგრძლივობა: 56 სასწავლო კვირა
მოდულის, ქართული ენა A2-ის გავლა სავალდებულოა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

სწავლის შედეგები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის მიმართულებით:

1. უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული მხარდაჭერა (Hardware);
2. უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა (Software);
3. იმუშაოს მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან;
4. გამართოს პერიფერიული მოწყობილობები;
5. დაამონტაჟოს და გამართოს მცირე ზომის კომპიუტერული ქსელი;
6. დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;

7. უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება / აღმოფხვრა;
8. უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები.